საქართველო
GEORGIA

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი
მერიის ადმინისტრაცია

RUSTAVI CITY MUNICIPALITY
CITY HALL ADMINISTRATION

№02/12535 18.08 2017 წ.

"ფაქტ - მეტრის"-ის რეგიონულ ანალიტიკოსს
ქალბატონ **მანონი ბოკუჩავას**
მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. N27
ტელ: 598508510

ქალბატონო მანონი,

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში 2017 წლის 08 აგვისტოს შემოსული თქვენი წერილის (რეგისტრირებული დოკუმენტი: N16917/02) პასუხად, რომლის თანახმადაც მოთხოვნილია საჯარო ინფორმაცია, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე წარმოგიდგენთ შემდეგი სახის ინფორმაციას:

2016 წელს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ შპს საკალათბურთო კლუბი ,,რუსთავი 1991"-ის დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდა 734 995,91 ლარის ოდენობით, ხოლო 2017 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსების გეგმა შეადგენს - 600 000 ლარს.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი ,,უფასო სასადილოებით მომსახურების პროგრამის" 2016 წლის გეგმა წარმოდგენილი იყო 695 000,00 ლარით, ხოლო პროგრამის განხორციელების შედეგად ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 680 099,25 ლარი. მიმდინარე წელს მინიმალური სასურსათო პროგრამის ხელშეკრულების თანხა შეადგენს - 840 77,00 ლარს.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დღეის მდგომარეობით არ არის დაგეგმილი ქ. რუსთავში, კოსტავას გამზ. N21-თან მდებარე სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება.

პატივისცემით,

ნინო ნიკოლავა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერიის პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

GEORGIA

Rustavi City Municipality City Hall
Finance and Budget Department

6997-02 14.08 2017წ

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძვანელს

ქალბატონ ნინო ნიკოლავას

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2017 წლის 9 აგვისტოს №6914-02 წერილის პასუხად გაცნობებთ რომ შპს საკალათბურთო კლუბი „რუსთავი 1991" 2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 734 995,91 ლარით, ხოლო მინიმალური სასურსათო პროგრამა - 680 099,25 ლარით.

2017 წელს შპს საკალათბურთო კლუბი „რუსთავი 1991"-ის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსების გეგმა შეადგენს 600 000 ლარს, ხოლო მინიმალური სასურსათო პროგრამის ხელშეკრულების თანხა - 840 777 ლარს.

პატივისცემით,

მამუკა მამაიაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საქართველო
ქალაქ რუსთავის მერიის სოციალური მომსახურების,
ჯანმრთელობის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ
საქმეთა სამსახური
GEORGIA
Rustavi City Municipality City Hall Social Service, Healthcare,
Culture, Sports and Youth Issues Department

N 7191-02
18/08/2017

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს
ქალბატონ **ნინო ნიკოლავას**

ქალბატონო **ნინო,**

თქვენი წერილის (№6915-02; 09.08.2017წ.) პასუხად გიგზავნით ინფორმაციას ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში ფაქტ-მეტრის რეგიონული ანალიტიკოსის მანონ ბოკუჩავას განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება „უფასო სასადილოებით მომსახურების პროგრამისათვის|" გამოყოფილ და გახარჯულ თანხებს.

მოგახსენებთ, რომ 2016 წელს აღნიშნული პროგრამის გეგმა წარმოდგენილი იყო 695.000.00 (ექვსას ოთხმოცდათხუთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარით, ხოლო პროგრამის განხორციელების შედეგად ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 659.248.74 (ექვსასორმოცდაცხრამეტი ათას ორასორმოცდარვა ლარი და 74 თეთრი) ლარი.

პატივისცემით,

ნინო ქვირია

ნ. ქვირია

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური